შ.პ.ს. "როინპეტროლი"

მისამართი: ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №96ა

mob: 514 600 090; 599 206 310. mail: roinpetrol@yahoo.com

№21/05-04 4 მაისი 2021წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

დაგეგმილი საქმიანობის განმეორებითი
სკრინინგის განცხადება

მე შ.პ.ს. „როინპეტროლი"-ს (ს/კ№ 412711061) დირექტორი მერაბ ჩხაბერიძეს ქ. ქუთაისში თაბუკაშვილის ქუჩის №96ა -ში მდებარე 656,0მ² მიწის ნაკვეთზე (ს/კოდი№03.05.25.043) განზრახული ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის შესახებ ჩვენი ა/წ 4 მარტის სკრინინგ განცხადებაზე თქვენი ა/წ 23 მარტის №2822/01 წერილით მიღებულ შენიშვნებზე თანმიმდევრობით განმეორებითი სკრინინგ განცხადების სახით გაცნობებთ:

1. საკადასტრო კოდის მაჩვენებლი „03.05.25.043"-ია და სკრინინგ განცხადების ბეჭდვის დროს მექანიკური შეცდომაა ციფრი „0"-ის („0430") მოხვედრა. საკადასტრო კოდი მოცემული იყო განცხადების დანართში (თუნდაც 10-ე გვერდზე);
2. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წერტილებიდან 50,0 მტრიანი რადიუსიდან იწყება საცხოვრებელი კორპუსი. გაგრძელებაზე ქალაქი ქუთაისია. მონაცემები ჩანს განცხადების თანმხლები საინჟინრო დოკუმენტებიდან;
3. ბენზინის და დიზელის საწვავის სახეობები დადგინდება ექსპლუატაციის დასაწყისში. ამჟამად და არც შემდეგ საწვავის სახეობების დადგენა გაფრქვევის გაანგარიშებისათვის არაფრის მომცემია. გაფრქვევები იანგარიშება ბენზინის და დიზელის საწვავის თითო ლიტრის მაჩვენებლებიდან. საწვავის წლიური ბრუნვა დადგინდება ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შესრულების დროს;
4. აგს-ები არ მარაგდება რკინიგზიდან და გემებიდან. საწვავი მიიღება სპეცავტოტრანსპორტით. საწვავის შემოტანის გრაფიკი წინასწარ არ მტკიცდება;
5. ნიადაგი შესწავლილია. ყველა საჭირო მონაცემების საფუძველზე გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ასლი განცხადებას თან ახლდა;
6. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დასკვნა განცხადებას თან ახლდა;
7. სანიაღვრე დაბინძურებული წყლების გამწმენდი (ძირითადად ავარიულ შემთხვევებში მიღებული) პროექტითაა და გაწმენდის შემდგომ ქალაქის საკანალიზაციო ქსელში ჩართვა

№ 7904
05 05 2021
2/10

7. ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ შეუთანხმდება ქალაქის შესაბამის სამსახურს. ყველა წერტილის კოორდინატების დადგენა საკადასტროდანაც მარტივია და შესაძლებელი.
8. აგს-ისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე იგეგმება მისთვის სტანდარტული (რეზერვუარები, მილმდენები, საწვავის გასაცემი სისტემები) და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსები. გამოყოფილ ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნის მოწყობის საჭიროება არ არის. სავარაუდოდ სულ 10-12 კაცი დასაქმდება;
9. შემკრებ ჭაში ნავთობპროდუქტები დაგროვდება მხოლოდ ავარიულ შემთხვევაში და მექანიკურად ამოღებული ნათობპროდუქტი გაიტანება საწარმოდან. შლამის ამოღება ხდება კვარტალში ერთჯერ და ისიც მაშინათვე გაიტანება. რეზერვუარები 2-3 წელიწადში ერთხელ სუფთავდება და ნარჩენები მაშინაც სპეცსამსახურთან ხვდება;
10. ობიექტში ხმაურის წყარო საწვავით გასამართი ავტოტრანსპორტია და მოსახლეობაზე მისი ზემოქმედება უმნიშვნელოა. სატუმბი სისტემის დაზიანების დროს ის დაუყონებლივ გამოირთვება.

შენიშვნა:

1. ამ განცხადებასთან ერთად დანართის სახით უცვლელად წარმოგიდგენთ ჩვენი ა/წ 4 მარტის №21/03-04 პირველ სკრინინგ განცხადების დანართს, რომელიც მაშინ პრაქტიკული გამოცდილების მეწარმე მეგობრებთან ერთად შევადგინეთ არა მარტო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის 4-ე პუნქტის საფუძველზე, არამედ ანალოგიური მეწარმეების მიმართ თითქმის ეკოლოგიურ, სკოპინგის და გზშ-ს პროექტების შესადგენი კითხვარების შესაბამისობით მათ სკრინინგ განცხადებებზე;
2. ჩვენც ხომ არ გვემუქრება (ბორჯომის 120.0მ³ მოცულობის სარკოფაგიანი აგს-ივით) გზშ-ს ანგარიშის პროექტის განხილვა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ნაცვლად;
3. ჩვენთვის ცნობილია აგს-ების მოსახლეობიდან 5/15 მეტრის დაშორებით დაკანონების და მშენებლობის ნებართვის გაცემის კანონის შესახებ. კანონი დანაშაულებრივია და დაუყონებლივ გასაუქმებელი. დასადგენია საჭირო სავალდებულო აუცილებელი დაშორება (მოსახლობა, საბავშვო, სასწავლო, სამკურნალო, ძეგლთა და სხვა) და ახლომდებარე ავტოგასამართი ობიექტები გასაუქმებელი და გასატანია;

გადაწყვეტილების მისაღებად ამ სკრინინგ განცხადებასაც საწარმოს ტექნოლოგიური და საპროექტო დახასიათებასთან ერთად ერთვის საექსპერტო შეფასება, განმარტებითი ბარათი (სახანძრო საგანგებო სისტემა), „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ ბრძანება და „როინპეტროლი“-ს მიწის ნაკვეთში აგს-ის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება- პირველადი სკრინინგ განცხადების დანართის სახით 10 გვერდზე.

პატივისცემით,

საწარმოს მესაკუთრე----------მ. ჩხაბერიძე